

საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.
2. მეორე მუხლის:
 - ა) „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სადაზღვევო ბროკერი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.“
 - ბ) „ლ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.“
 - გ) „მ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) გადაზღვევა - ოპერაცია, რომლის დროსაც გადამზღვეველი (ები) გადაზღვევის ხელშეკრულების მეშვეობით კისრულობ(ენ)ს ვალდებულებას მთლიანად ან ნაწილობრივ, თითოეული გადაზღვევის ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, აანაზღაუროს მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე ზარალი.“
 - დ) ამოღებულ იქნას „ო“ და „პ“ პუნქტები.
 - ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“:

„ჟ) მნიშვნელოვანი წილი – მზღვეველის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10% და 10%-ზე მეტი წილი, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით.“
 - ვ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ პუნქტი:

„რ) ადმინისტრატორი – დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.“
 - ზ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ პუნქტი:

„ს) არაპირდაპირი მონაწილეობა – იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით.“
 - თ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ პუნქტი:

„ტ) ბენეფიციარი მესაკუთრე – კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი.“

3. მე-9 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სადაზღვევო ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. მზღვეველის მართვა და მისი საქმიანობა ხორციელდება ეროვნული ბანკის ნორმატივების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების სადაზღვევო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, მზღვეველი უფლებამოსილია იმოქმედოს საერთაშორისო სადაზღვევო ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად.“

4. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სადაზღვევო აგენტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აგენტის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღება ამასთანავე, აგენტის მიერ მიღებული სადაზღვევო პრემია ითვლება მზღვეველის მიერ მიღებულ სადაზღვევო შენატანად.“

5. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადაზღვევო ბროკერი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუაშაგლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს ეროვნულ ბანკს და გაიაროს რეგისტრაცია.“

6. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის პირობები

1. მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა.

2. მზღვეველი, მიუხედავად დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებისა დამზღვევის წინაშე პასუხისმგებელია დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი ვალდებულებების ფარგლებში.

3. მზღვეველი ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნისას წარუდგინოს ინფორმაცია უცხოეთის იმ სადაზღვევო ორგანიზაციის შესახებ, რომელთანაც გაფორმებული აქვს გადაზღვევის ხელშეკრულებები.

ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს გადამზღვეველი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე.

7. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14. ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები

1. მზღვეველი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:

ა) სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის, ფულადი ფორმით);

ბ) სადაზღვევო რეზერვების ოდენობა სახეობების მიხედვით;

გ) სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან;

დ) საკუთარ კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;

ე) აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფილიალზე (წარმომადგენლობაზე).

3. მზღვეველი ვალდებულია ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან 15 მაისამდე ეროვნულ ბანკს გასული წლის წლიური, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) მიხედვით და რომლის აუდიტიც განხორციელდა „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის“ „საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

4. კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალი (წარმომადგენლობა) ვალდებულია წარმოადგინოს დამფუძნებელი სადაზღვევო და/ან გადაზღვევის ორგანიზაციის და/ან დამფუძნებელი ჰოლდინგური კომპანიის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებანი წარმოშობის ქვეყანაში მათი გამოქვეყნებისთანავე წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოშობის ქვეყანაში მისი გამოქვეყნებისთანავე.“

8. მე-15 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად მზღვეველი ქმნის რეზერვებს. სადაზღვევო რეზერვების სახეობებსა და მათი შექმნის წესს ადგენს ეროვნული ბანკი.“

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი, დაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის სადაზღვევი რეზერვი, რომლებსაც ქმნის მზღვეველი არ დაიბეგრება.“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვებ აქტივებს და მათ სტრუქტურას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.“

9. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მზღვეველის გადახდისუნარიანობის გარანტიები

1. მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ნორმატიული თანაფარდობა. ამ თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკას და ნორმატიულ მოცულობას ადგენს ეროვნული ბანკი.

2. მზღვეველმა რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების შერჩევა უნდა განახორციელოს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობის და ლიკვიდურობის პირობებით.“

10. ამოღებულ იქნას მე-17 და 18 მუხლები.

11. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო

„ეროვნული ბანკი ახორციელებს ზედამხედველობას სადაზღვევო საქმიანობაზე.“

12. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. ეროვნული ბანკის ფუნქციები

ამ კანონის მიზნებისათვის ეროვნული ბანკის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, რისთვისაც იგი ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს: სადაზღვევო საქმიანობის განზოგადება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი, კანონებისა და სხვა პროექტების, არსებულებში კი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავება.“

13. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) გასცეს და გააუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, განახორციელოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია.

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვა, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების შემოწმება, რისთვისაც მზღვეველისაგან შეუძლია გამოითხოვოს და მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

გ) სადაზღვევო კომპანიის მიმართ გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სანქციები.

დ) აწარმოოს მზღვეველთა რეესტრი;

ე) განსაზღვროს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის, ფულადი ფორმით) და კაპიტალის გაანგარიშების წესი.

ვ) დაადგინოს სადაზღვევო რეზერვების სახეობების განსაზღვრისა და შექმნის, აგრეთვე რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესი;

ზ) დაადგინოს სადაზღვევო კომპანიებისათვის შიდა აღრიცხვის მოთხოვნები.

თ) განსაზღვროს აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;

ი) განსაზღვროს საკუთარ კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა.

კ) შექმნას მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტაცია სადაზღვევო საკითხებზე.

ლ) შეიმუშაოს და მიიღოს ნორმატიული აქტები სადაზღვევო სამიქნობის რეგულირებასთან დაკავშირებით.

მ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მზღვეველის როგორც უშუალო ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ.

ნ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კაპიტალის წარმოშობის შესახებ;

ო) მიმართოს სასამართლოს მზღვეველის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე.

პ) დაადგინოს მზღვეველის ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და მათი წარდგენის პროცედურა.

ჟ) ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის საზედამხედველო ორგანოსთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რაც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას, ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გაფორმებას.

რ) გამოაქვეყნოს სადაზღვევო ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.“

14. დაემატოს შემდეგი შინაარსის 21¹ მუხლი

„მუხლი 21¹ დარღვევები და სანქციები

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მზღვეველის ან/და მათი ადმინისტრატორების მიმართ გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილი სანქციები იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველმა ან რომელიმე ადმინისტრატორმა:

ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, წესები, მოთხოვნები, წერილობითი მითითებები.

ბ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია.

გ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

3. ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას ეროვნული ბანკის უფლება აქვს თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევის და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ მზღვეველმა შეწყვიტოს და შემდგომში არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა (ქმედება) და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ) დააკისროს ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

დ) მზღვეველის ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და მოსთხოვოს მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს/საერთო კრებას მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან გათავისუფლება;

ე) შეუჩეროს ან შეუზღუდოს მოგების განაწილება, დივიდენდებისა და მატერიალური წახალისებების გაცემა და ახალი ვალდებულებების აღება;

ვ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება დამზღვევთა და დაზღვეულთა ინტერესებს, შეუჩეროს მას კონკრეტული ოპერაციების განხორციელების უფლება.

ზ) გაუუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია.

4. სანქციები უნდა შეეფარდებოდეს დარღვევის სერიოზულობასა და შესაძლო საფრთხეს.

5. ამ მუხლის შესაბამისად გამოყენებული ჯარიმის თანხები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. ამ კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმის აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

15. 22–ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირება

1. სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზიას გასცემს ეროვნული ბანკი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირზე (გარდა არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისა, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირიც, იმ შემთხვევაში, თუ ამ პირის სამართლებრივი ფორმა არ ითვალისწინებს კაპიტალის არსებობას, მას უნდა გააჩნდეს საგარანტიო ფონდი, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოში რეგისტრირებული სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მფლობელი სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური კაპიტალის ოდენობის შესაბამისად. აღნიშნულ პირებს ასევე არ მოეთხოვებათ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შემდეგ საქმიანობაზე:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა;
- ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის);
- გ) გადაზღვევა.

4. თუ პირს სურს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება და უკვე აქვს აღებული ლიცენზია დაზღვევის სხვა სახეობაში, მას უფლება აქვს განახორციელოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობა ლიცენზიის აღების გარეშე. მზღვეველი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს ეროვნული ბანკის გადაზღვევის საქმიანობის დაწყებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო პირობებისა შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) წარმოადგინოს სადამფუძნებლო დოკუმენტები (მათ შორის წესდება);
ბ) წარმოადგინოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან (დაწესებულებებიდან) მინიმალური შევსებული კაპიტალის ფულადი ნაწილის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე. კომპანიის მინიმალური კაპიტალის არაფულადი ნაწილის არსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმალური კაპიტალის არაფულადი ნაწილის არსებობის

დამადასტურებელი აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;

დ) წარმოადგინოს მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ასევე ბენეფიციარი მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემებს

ე) მზღვეველის ადმინისტრატორებმა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია, რომ:

ე.ა იგი სასამართლომ არ სცნო ქმედუუნაროდ.

ე.ბ იგი არ არის ნასამართლევ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისათვის ან/და ტერორიზმის დაფინანსებისათვის;

ე.გ იგი არ არის ნასამართლევ ეკონომიკური დანაშაულისათვის ან/და სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის.

ე.დ იგი ამავე დროს არ არის სხვა მზღვეველის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ სადაზღვევო ან გადამზღვეველი კომპანიის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სადაზღვევო ან გადამზღვეველ კომპანიაში ან სადაზღვევო/გადამზღვეველ კომპანიაში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული სადაზღვევო/გადამზღვეველი კომპანია;

ვ) ლიცენზიის მაძიებელი, რომელსაც სურს განახორციელოს სიცოცხლის დაზღვევის სახეს მიკუთვნებული არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა და უზრუნველყოფა, ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესები.

ზ) ლიცენზირების დამატებით პირობას წარმოადგენს, აგრეთვე, მზღვეველის ვალდებულება სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე იმოქმედოს სადაზღვევო კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

თ) მზღვეველი ვალდებულია ლიცენზიის მიღების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში გამოიყენოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია.

6. საქართველოში რეგისტრირებული ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული დოკუმენტაცია წარმოადგინოს დედნების ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია არნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინოს დედნების ან მათი სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით.

7. ამ კანონი 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალი (წარმომადგენლობა), მისი დამფუძნებელი ორგანიზაციის ლიცენზიის (სახელმწიფო რეგულირების) საფუძველზე, განახორციელებენ ლიცენზირებად საქმიანობას ისე, რომ არ არიან ვალდებული მოიპოვონ შესაბამისი ლიცენზია. დამფუძნებელი ორგანიზაციების მფლობელობაში

არსებულ ლიცენზიას ისეთივე სამართლებრივი სტატუსი აქვს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას და არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს ამ ფილიალების მიერ შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება.

8. ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალი (წარმომადგენლობის) ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე ეროვნული ბანკში წარმოადგენს დოკუმენტაციას შესაბამისი საზედამხედველო ორგანოდან იმის თაობაზე, რომ დამფუძნებელ სადაზღვევო ორგანიზაციას, რეგისტრაციის ქვეყანაში აქვს შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლება, რომელიც არ უზღუდავს საქმიანობას საქართველოში.

9. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიები გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

10. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა კონკრეტულ მზღვეველზე და მისი გადაცემა სხვა იურიდიული პირისათვის დაუშვებელია.

11. არავის არ აქვს უფლება სახელწოდებაში გამოიყენოს ტერმინი „დაზღვევა“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როდესაც კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი "დაზღვევა" ან მისი სიტყვათწყობა, ჩანს, რომ იგი არ აწარმოებს ამ კანონით განსაზღვრულ სადაზღვევო საქმიანობას).

12. ლიცენზირებას არ საჭიროებს სადაზღვევო აგენტის და სადაზღვევო ბროკერის საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება.

13. საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლება გააჩნიათ მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ იურიდიულ პირებს და ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფილიალს (წარმომადგენლობას).

14. მზღვეველი (ლიცენზიის მამიებელი) პასუხისმგებელია ლიცენზირებისათვის მიწოდებული დოკუმენტების სისწორეზე.

15. მზღვეველი ვალდებულია ლიცენზიის მისაღებად მიწოდებულ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამის შესახებ წერილობით აცნობოს ეროვნული ბანკის და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

16. ლიცენზიის ფორმას ადგენს ეროვნული ბანკი.“

16. 25-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის 22-ე მუხლის დადგენილ მოთხოვნებს;“

ბ) პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სადაზღვევო ორგანიზაციის ადმინისტრატორთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს მას სადაზღვევო საქმიანობას.“

გ) პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ლიცენზიის მაძიებელს გაუქმებული აქვს ამავე ლიცენზირებად სფეროში მიღებული ლიცენზია და არ არის აღმოფხვრილი ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები.“

დ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) მზღვეველის ადმინისტრატორები და მნიშვნელოვანი წილის მფლობელები არ აკმაყოფილებენ ამ კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ პირობებს.“

17. დაემატოს შემდეგი შინაარსის 27¹ მუხლი:

„მუხლი 27¹. ლიცენზიის გაუქმება

1. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით:

ა) სადაზღვევო ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე, როდესაც ლიცენზიის მფლობელი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

ბ) სადაზღვევო კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების სისტემატიური დარღვევის შემთხვევაში;

გ) იმ შემთხვევაში თუკი მზღვეველმა არ გამოიყენა ლიცენზია მისი ძალაში შესვლის თარიღიდან 6 თვის განმავლობაში;

დ) მზღვეველი ეწევა ან ეწეოდა მისი ფინანსური მდგომარეობისათვის საფრთხის შემქმნელ ან არაჯანსაღ სადაზღვევო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის დამზღვევებს/დაზღვეულებს;

ე) მზღვეველი გადახდისუუნაროა;

2. ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალები (წარმომადგენლობები) საქმიანობას წყვეტენ თუ:

ა) ადგილი აქვს სადაზღვევო კანონმდებლობის უხეშ და სისტემატიურ დარღვევას;

ბ) ფილალის (წარმომადგენლობის) დამფუძნებელმა სადაზღვევო ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობებს ეროვნული ბანკის;

გ) მის დამფუძნებელ სადაზღვევო ან გადაზღვევის ორგანიზაციას რეგისტრაციის ქვეყანაში ჩამოერთვა სადაზღვევო საქმიანობის უფლება, რომლის შესახებაც ფილიალი (წარმომადგენლობა) ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნული ბანკის;

დ) მისი დამფუძნებელი სადაზღვევო ან გადაზღვევის ორგანიზაციის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის წარმოება ან სხვა საფუძვლით დაიწყო მისი ლიკვიდაცია, რომლის თაობაზეც ფილიალი (წარმომადგენლობა) ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნული ბანკის.

3. ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაუქმების ან ამ კანონის მე-2 მუხლის “გ.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალების (წარმომადგენლობების) საქმიანობას შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მზღვეველს არა აქვს უფლება განახორციელოს შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობა, გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომელიც მას ადრე ჰქონდა აღებული დაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად, მათი მოქმედების ვადის გასვლამდე.

4. მზღვეველი ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში აბარებს ლიცენზიას ეროვნულ ბანკს.

5. მზღვეველი ლიცენზიის ჩაბარების შემდგომ, მის მიერ აღებული სადაზღვევო ვალდებულებების ვადის გასვლამდე ან რისკების დადგომის შემთხვევაში ზარალების სრულ ანაზღაურებამდე, ექვემდებარება ზედამხედველობას ეროვნული ბანკის მიერ.

6. მზღვეველის ლიცენზიის გაუქმების მომენტიდან იწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

7. ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისთანავე მზღვეველი ვალდებულია წარუდგინოს ეროვნულ ბანკს საბოლოო ანგარიში ლიკვიდაციის პროცესისა და მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულების თაობაზე.“

18. 28-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიული პირის შერწყმის, მიერთების ან გამოყოფის შემთხვევაში, მისი უფლება ლიცენზიაზე გადადის ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეზე. საჭიროების შემთხვევაში, ძველის სანაცვლოდ სამართალმემკვიდრეზე გაიცემა შესაბამისი ლიცენზია.“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. მზღვეველი ვალდებულია მნიშვნელოვანი წილის გასხვისების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის, რეორგანიზაციისა და ფილიალის დაარსების შემთხვევაში წინასწარ აცნობოს ეროვნულ ბანკს და

წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტაცია (ინფორმაცია პირის შესახებ, რომელიც აპირებს წილის შეძენას, ამ კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების თაობაზე, სამართლებრივი ფორმის შეცვლის, შერწყმის ან გამოყოფის დასაბუთება და პირობები). ეროვნული ბანკი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში მზღვეველს აძლევს დასაბუთებულ უარს. 10 დღის ვადაში დასაბუთებული უარის მიუღებლობის შემთხვევაში თანხმობა ჩაითვლება გაცემულად.“

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი

„6. მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გარიგება ბათილია, თუ არ იქნა წარდგენილი შესაბამისი ინფორმაცია ეროვნულ ბანკში ან ეროვნული ბანკისაგან მიიღებულ იქნა დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც განხორციელდა გარიგება.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი